

ბანმარტეპითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია პრეზიდენტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მოქნილი და ეფექტური სისტემის (გარანტიების) უზრუნველყოფა. პრეზიდენტის საქმიანობისა და უფლებამოსილებათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ხშირად წარმოიშობა სახელმწიფო ბიუჯეტით პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხების სხვადასხვა ასიგნებებზე გადანაწილების აუცილებლობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ითვალისწინებს ცვლილების შეტანას „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობას პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

ამასთან, კანონის მე-19 მუხლს ემატება 11 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადებში დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ხარჯებთან დაკავშირებით მითითებული პარამეტრების შეცვლა დასაშვებია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანხმობით.

გარდა ამისა, კანონპროექტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების უფლება ენიჭება შეუზღუდავად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ ცვლილებებს ან მდგომარეობის სხვაგვარ გაუარესებას იმ პირთათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი გავრცელდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შექმნაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შექმნაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.